



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

**EU4Environment**  
Green Economy in Eastern Partner Countries



**მედია საუზმე საქართველოში მწვანე ეკონომიკის შესახებ**

**დღის წესრიგი**

**ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი 2022**

**11:00 - 13:00 (თბილისის დროით, GMT+4)**

**მისამართი: სასტუმრო სავანეთი, სოფელი იყალთო, თელავის  
მუნიციპალიტეტი, კახეთი**

Action implemented by:



### ზოგადი ინფორმაცია

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ევროკავშირთან, რითაც აჩვენა რეფორმების გატარებისა და სხვადასხვა სექტორის პოლიტიკის ევროკავშირის მიდგომებთან შესაბამისობაში მოყვანის მზადყოფნა. ასოცირების შესახებ შეთანხმების რამდენიმე მუხლი ითვალისწინებს მწვანე ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლას, კერძოდ, აღნიშნული დებულებები მოითხოვს მდგრადი საჯარო შესყიდვების მიდგომის დანერგვას, ეკოეტიკეტირებისა და ეკო-ინოვაციების წახალისებას. საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით. ამ პროცესში ხელშემწყობია საქართველოს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო პროცედურების გამარტივებას, იმპორტის შედარებით დაბალ ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP) არის ხუთი პარტნიორი ორგანიზაციიდან ერთ-ერთი, რომელიც ახორციელებს ახლად დაწყებულ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ევროკავშირი გარემოსთვის (EU4Environment) აქტივობებს. ეს რეგიონული პროგრამა მხარს უჭერს 6 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, პოლიტიკის დაგეგმვასა და ინვესტიციების გამწვანებაში, ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ათვისების სტიმულირებასა და გარემოსდაცვითი საქმიანობის სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. უფრო კონკრეტულად, EU4Environment-ის კომპონენტის — „ცირკულარული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობების“ ფარგლებში, UNEP მხარს უჭერს საქართველოს მდგრადი საჯარო შესყიდვების საკითხებისა და დამატებით ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საქმიანობის პოპულარიზაციაში. კერძოდ, პროექტის ფარგლებში შეფასდა შემდეგი სფეროები: i) გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მხარდაჭერით შეფასდა ქვეყანაში არსებული ეკოეტიკეტირების სისტემები და მომზადდა ანგარიში; ii) გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (GCNG) მხარდაჭერით ასევე შემუშავდა მცირე და საშუალო საწარმოებში ეკო-ინოვაციების პოტენციალის მქონე ძირითადი სექტორების შეფასება და iii) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან თანამშრომლობით შემოთავაზებული იქნა მდგრადი საჯარო შესყიდვების დებულებები ახალ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში. ამჟამად ხორციელდება მდგრადი საჯარო შესყიდვების ცნობიერების ამაღლების თაობაზე აქტივობები, მათ შორის, იგეგმება ტრენინგებისა და შეხვედრების ჩატარება მდგრადი საჯარო შესყიდვების სარგებლიანობის შესახებ.

გაწეული სამუშაო და შემუშავებული შეფასებები ცხადყოფს, რომ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მწვანე ეკონომიკისა და მისი პრინციპების დანერგვის მიმართულებით.

მედია საუბრე, ჟურნალისტების, მედიის ექსპერტებისა და სოციალური მედიის ინფლუენსერების მონაწილეობით, ხელს შეუწყობს საქართველოში EU4Environment პროგრამის მიზნების მიღწევებისა და პროგრამის სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, ასევე დააინტერესებს დამსწრეებს რათა წვლილი შეიტანონ, ისწავლონ ან/და გამოიყენონ ეკოეტიკეტირების, მდგრადი საჯარო შესყიდვებისა და ეკო-ინოვაციის მიდგომები.

### **მედია საუბრის მიზნები**

მედია საუბრე მიზნად ისახავს ეროვნული და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლების, მეწარმეების, ბიზნეს ასოციაციების, სტარტაპების, მარკეტინგის ექსპერტების, გადაწყვეტილებების მიმღებთა და ეროვნული აქტორების შეკრებას მათი შეხედულებების, მოსაზრებების და გეგმების გაზიარების მიზნით მდგრადი ბიზნესის პრაქტიკებისა და ზოგადად, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოში.

### **მონაწილეები**

მედია საუბრეს დაესწრებიან ეროვნული და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები, სოციალური მედიის ინფლუენსერები, სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები, ბიზნეს ასოციაციების, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის და EU4Environment პროექტის სხვა განმანხორციელებელი უწყებების წარმომადგენლები.

### **პრაქტიკული ინფორმაცია**

მედია საუბრე გაიმართება 2022 წლის 26 ოქტომბერს, (11:00-13:00) სასტუმრო სავანეთი, სოფელი იყალთო, თელავის მუნიციპალიტეტი, კახეთი.

შეხვედრა გაიმართება ქართულ და ინგლისურ ენებზე, სინქრონული თარგმანით.

### **ფორმატი და შეკითხვები საწარმოებისთვის**

მედია საუბრე მოეწყობა არაფორმალური დისკუსიის სახით ჟურნალისტების, მედიის წარმომადგენლების, სოციალური მედიის ინფლუენსერების, სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, მეწარმეების, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით.

მოდერატორი თავის შესავალ სიტყვაში წარმოადგენს საქართველოში მწვანე ეკონომიკის მოდელის ძირითად მიღწევებსა და გეგმებს, EU4Environment პროექტის მიერ მხარდაჭერილი ანგარიშების ძირითად მიგნებებს, რასაც მოჰყვება ჟურნალისტების კითხვები.

მოდერატორი დისკუსიას გაუძღვება შემდეგი კითხვების დასმის მეშვეობით:

1) თქვენი აზრით, რა როლი აქვთ მცირე და საშუალო საწარმოებს მწვანე ეკონომიკის მოდელზე გადასვლის მიზნის შესასრულებლად, პოსტკოვიდური ჩარჩოების გათვალისწინებით? რა როლი აქვს მედიას მომხმარებელთა მიერ მდგრადი ცხოვრების წესზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

2) რა არის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებელი ეკონოვაციების მიმართულებით? რა როლი აქვთ ამ მიმართულებით ეკოეტიკეტირებასა და მდგრად საჯარო შესყიდვებს?

3) როგორ შეაფასებდით არსებული ცნობიერების დონეს ეკონოვაციური მიდგომების შესახებ, აგრეთვე, მწვანე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ხარისხს ქვეყანაში ოპერირებად კომპანიებში? რა გამოწვევებს ხედავთ ეკონოვაციების დანერგვასთან დაკავშირებით ქვეყანაში? არსებობს თუ არა ფინანსური რისკები?

4) რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას მწვანე ეკონომიკის/მდგრადი მოხმარებისა და წარმოების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის გაძლიერებისათვის, ასევე, საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად? რა სახის მხარდაჭერაა საჭირო ეროვნული/ადგილობრივი მედიის შესაძლებლობების გასაძლიერებლად გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებისთვის?

#### **EU4Environment-ის შესახებ**

„ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment - მწვანე ეკონომიკა) ეხმარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, დაიცვან თავიანთი ბუნებრივი კაპიტალი და გაზარდონ მოსახლეობის გარემოსდაცვითი კეთილდღეობა, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოქმედებების მხარდაჭერით, მწვანე ზრდის დემონსტრირებითა და შესაძლებლობების განვითარებით, გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების მართვის მექანიზმების დანერგვით.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება ხუთი პარტნიორი ორგანიზაციის — OECD, UNECE, UNEP, UNIDO და მსოფლიო ბანკის მიერ, დაახლოებით 20 მილიონი ევროს ბიუჯეტის ფარგლებში, 2019-2024 წლებში.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ: [EU4Environment@oecd.org](mailto:EU4Environment@oecd.org).

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს: [www.eu4environment.org](http://www.eu4environment.org).

დრო	აქტივობა
<b>26 ოქტომბერი</b>	
<b>08:00-10:30</b>	<b>ტრანსპორტირება თბილისიდან სასტუმროში</b> (სასტუმრო სავანეთი, სოფელი იყალთო, თელავის მუნიციპალიტეტი, კახეთი)
<b>11:00-11:15</b>	<b>მისასალმებელი სიტყვა</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• სოლომონ პავლიაშვილი, მინისტრის მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (tbc) / თამარ ალადაშვილი, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი</li> <li>• კახა დემეტრაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო</li> <li>• დავით ადვაძე, მდგრადი განვითარების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</li> <li>• ფარიდ იაკერი, პროგრამის ოფიცერი, ეკონომიკის განყოფილება, რესურსებისა და ბაზრის მიმართულება, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) (tbc)/ ლესია ნიკოლაევა, მდგრადი საჯარო შესყიდვების საერთაშორისო ექსპერტი, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)</li> </ul>
<b>11:15-11:30</b>	<b>მოკლე პრეზენტაცია მწვანე ეკონომიკის შესახებ</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• სოლომონ პავლიაშვილი, მინისტრის მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (tbc) / თამარ ალადაშვილი, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი</li> </ul>
<b>11:30-13:00</b>	<b>დისკუსია მონაწილეებსა და სპიკერებს შორის</b>  <b>შეკითხვები:</b> <ol style="list-style-type: none"> <li>1) თქვენი აზრით, რა როლი აქვთ მცირე და საშუალო საწარმოებს მწვანე ეკონომიკის მოდელზე გადასვლის მიზნის შესასრულებლად, პოსტკოვიდური ჩარჩოების გათვალისწინებით? რა როლი აქვს მედიას მომხმარებელთა მიერ მდგრადი ცხოვრების წესზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში?</li> <li>2) რა არის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებელი ეკო-ინოვაციების მიმართულებით? რა როლი აქვთ ამ მიმართულებით ეკოეტიკეტირებასა და მდგრად საჯარო შესყიდვებს?</li> </ol>

	<p>3) როგორ შეაფასებდით არსებული ცნობიერების დონეს ეკონომიკური მიდგომების შესახებ, აგრეთვე, მწვანე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ხარისხს ქვეყანაში ოპერირებად კომპანიებში? რა გამოწვევებს ხედავთ ეკონომიკების დანერგვასთან დაკავშირებით ქვეყანაში? არსებობს თუ არა ფინანსური რისკები?</p> <p>4) რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას მწვანე ეკონომიკის/მდგრადი მოხმარებისა და წარმოების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის გაძლიერებისათვის, ასევე, საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად? რა სახის მხარდაჭერაა საჭირო ეროვნული/ადგილობრივი მედიის შესაძლებლობების გასაძლიერებლად გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებისთვის?</p> <p><b>მოდერატორი:</b> თამარ ალადაშვილი, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი</p>
<b>13:00-14:00</b>	<b>სადილი</b>